გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 1
2024 წლის 12 იანვარი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის
სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,
ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

1.„შპს „საპროექტო ორგანიზაცია არქიტექტორი“-ს (ს/კ 217890851) და შპს „მედეა“-ს (ს/კ 217880791) ლიკვიდაციის თაობაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/

2.„გორის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების 2024 წლის დაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარეგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

3.„გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2022 წლის 26 იანვარს გაფორმებული №1 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

4.„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.10.730) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მერაბ მელანაშვილი/

5.„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს.კ 66.45.26.441 და ს.კ. 66.45.26.442) პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

6.„ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობის მიმდებარედ, ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

7.„ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

8.„გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/

9.„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2023 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/

10.„ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს“ 2023 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

11.„ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს 2023 წლის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

12. „გორის მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/